ოქმი:**ო63. 63243625**
თარიღი:**27/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. სამტრედია 26 დეკემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას, თავმჯდომარეობით ჩატარდა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი ლეჟავა, ნათია პაპავა, ტარიელ დვალიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი, ლაშა გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

დღის წესრიგი

1.სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ლეჟავა/

2**.** სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (5) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (5) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გიორგი ლეჟავამ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა.

აზრი გამოთქვა: გიორგი ლეჟავამ.

გიორგი ლეჟავა- მინდა წარმოგიდგინოთ, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვიხილოთ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ სამუშაო გეგმაში ცვლილების შეტანა.

	განსახილველი საკითხები	**განხილვის ვადა**	**პასუხისმგებელი შესრულებაზე**	**შენიშვნა**
N	**2**	**3**	**4**	**5**
1	კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება.	იანვარი	კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა	
2	ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობიპროგრამების შესახებ.	ყოველკვარტლურად	გ.ლეჟავა ტ. დვალიშვილი ლ. გრიგოლია	
3	მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა	ივლისი-დეკემბერი	ლ. ახობაძე ლ. კრავეიშვილი	
4	სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.	ყოველკვარტალში	ლ. ახობაძე გ ლეჟავა	
5	ა. (ა)ი.პ.საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ	ივნისი, დეკემბერი	მ. თევზაძე ნ. პაპავა	
6	კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება.	წლის განმავლობაში	გ. ლეჟავა	
7	ა.(ა)ი.პ. ,,სახლი თანადგომა“-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.	ივნისი-დეკემბერი	ლ. ჩორგოლაშვილი	
8	ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენა	ივლისი-ნოემბერი	შ. ჭაფოძე ტ. დვალიშვილი	

	გაწეული მუშაობის შესახებ.			
9	2025 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის განხილვა.	კვარტლურად	ლ.ახობაძე	
10	კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა.	ივლისი-დეკემბერი	გ. ლეჟავა	

საკითხის ირგვლის შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (5) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული განხილულ და დამტკიცებულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

გიორგი ლეჟავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი